

რედაქცია: სოლოლაკზე, სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. შარავზე მცხოვრებთათვის: В. Троицкий. В редакцию газ. „Артаб“.

გაზეთის ფასი: მთელი წლი-სა— 3 მან., ნახევარ წლი-სა— 2 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის— 3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფრთხილ

ცალკე ნომერი ღირს შაბათით

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასო-ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცი-ცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაას-წავოს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდილი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

საქართველო

ახალი ეგზარხოსი საქართველოშია

ჩამოგვივიდა ახალი ეგზარხოსი, რომელსაც დიდი ხანია მოველოდით. ჩამოგვივიდა და, როგორც გვითხრეს, უკვე დაიწყო გამგეობა თავის სამწყსო ეპარხიისა.

შორიდან ძალიან კარგი, ძალიან სასიამოვნო და ქების ამბავი გვესმოდა ახლოს ეგზარხოსზედ. ზაზეთებში იწერებოდნენ, რომ მალა-ყოვლად-სამკვდელთა იოანე სრულებით არა ჰყავს იმ მღვდელ-მთავრებს, რომელნიც თავის დაახლოებულ და მონათესავე პირებს აძლევდნენ საუკეთესო ადგილებსა, რომელნიც მიდგომით მოქმედებდნენ, რომელთაც პირმოთწე ხალხი უყვართ და სხე. ის მუდამ თავის ქუჩით დაიარება; კეთილ-სინიდიანიანათ ასრულებს თავის მოვალეობასა, სამართლიანობას და პატიოსნებას აფასებს ყველაზედ უფრო თავის ხელ-ქვეითებში, დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ახალგაზდების განათლებასა და სხე. და სხა.

ღმერთმან ინებოს, რომ ყველა ეს მართალი, ნამდვილი გამომდგარიყოს. სწორეთ ამისთანა მღვდელ-მთავარი ეპი-რება ამჟამად ჩვენს ქვეყანას.

ფელტონი

პარდი, ასილი და ანწლი (ლოგინა)

ბუნებისაგან შემკულ წალკოტში ჩარჩენილ იყო ძირი ანწლისა, და ყველამ უწყით თვისება მისი, ნათქვამი არის უკვე ას წლისა:

ყოველ მცენარეზედ უარესია და საზიზღარი ყოვლის თვისებით; მერ მოსპობს იგი თვისსა სიმყარულეს, რა გინდ შევამკო დიდის ღირსებით!

წალკოტში მყოფნი სწუხდნენ ყველანი ამ ანწლის ძირის ბაღში ჩარჩენას; შესახედავით სხადვით ყველასა, მარად სწყევლიდნენ მისსა გაჩენას.

აწლმა რა იგონო ერთდებოდენ და სძულდა ყველას მისს ახლოს გავლა, შიკრობდა რითმე ესმარა ღონე, თვისი სიმყარულე რომ დაეშალა.

ჩვენ არ გავიმეორებთ იმას, რაც ჩვენს გაზეთში და სხვა ადგილობრივ გაზეთებშია ცემულია საქართველოს ახლანდელს სამღვდელთაზედ და აგრეთვე სასულიერო სასწავლებლებზედაცა.

... სრული იმედი გვაქვს, რომ ახალი ეგზარხოსი მალა-ყოვლად-სამღვდელთა იოანე იყვება ამ გარემოებას მიაქცევს ჯეროვანს ყურადღებას, დაწვრილებით განიხილავს როგორც ჩვენი სამღვდელთების, აგრეთვე ხსენებულ სასწავლებლების მდგომარეობას და ეცდება, რომ უღირსნი წარმოადგენდნენ სასულიერო წოდებისა და სასულიერო განათლებისა სწორს გზაზე დააყენოს ან სულ მოაშოროს იმ საქმეს, რომლისთვის იმათ მხოლოდ ენება მოაქვთ.

ის იმედი გვაქვს; ამის შესრულებას მოვლის ხალხი ახალი ეგზარხოსისაგან; და ამიტომაც ჩვენმა ქვეყანამ ასეთის სიამოვნებით გაიგო იმის დანიშნვა საქართველოს მღვდელთ-მთავრის თანამდებობაზედ; ამიტომაც ამისთანა თანაგრძნობითა და სიხარულით მივეგებებით ჩვენც იმის ჩვენში ჩამოსვლას...

ს. მ.

დღიური

* * ჩვენ მოგვივიდა მუთისიდან შემდეგი შენიშვნა:

თუმცა მისს გვერდით იყო ასკილი, და იგეც ფურცლებს ჩამოკეცილი, სუნნი არ ჰქონდა სიძველისაგან, იყო დიდის ხნის ის გაყინული..

მრთხელ არჩივს: „ვეცადოთ რითმე ბევრდით დავირგათ მაისის ვარდი, რადგან შეეტრფის იმას ყველანი და ყვავილთ შორის არა ჰყავს ფარდი.“

„იქნებ მის ტრფობით აღარ შესძავდეთ ჩვენს ახლო-მახლო გავლა-გამოვლა; სუნს გარდმოაფანს ჩვენს არე-მარეს, რა რომ ექმნება წმენდა და მოვლა!“

სურვილისა-მებრ მათ მოიპოვეს მაისის ვარდის ნერგი-პატარა, ღარგეს თვის შორის, და თავ-მოამწონეთ აყვავდა ფრიალ და გაიხარა.

მარდის ბუნება ჩვენ ყველამ უწყით: მშვენიერია ფეროვნებითა, რომ მიეახლო, მყის მიგიზიდავს თვისის საამო სუნნელებითა.

„მოგვხსენებთ, რომ ჩვენი თავდა-აზნაურების დივიზიონები დაითხოვეს, რადგან, მტერთან მორიგების გამო, საჭირო აღარ იყვნენ, და ყველანი თავიანთ სახლში დაბრუნდნენ.“

„მაგრამ ბაღდადის და აშაღების სოტნები ჯერაც არ დაუთხოვენიათ. მტყობა, რომ ჯერ კიდევ დიდი შიშია იქითკენ აჭარლებისაგან თავზე დაცემისა! ან იქნება ინგლისელებს მოვლიან აჭარის მთებიდან? თუ ეს მიზეზი არ არის, მაშ ამხსენით—რას აკეთებენ ეს სოტნები იმის ფასს, რასაც ისინი ხარჯავენ და მცხოვრებლებს აწუხებენ?“

* * ბუშინწინ ახლად ჩამობრძანებულნი საქართველოს ეგზარხოსი მალა-ყოვლად-უსამღვდლო იყო ძავეკასიის ნამესტნიკთან და ორ საათზე მეტი დარჩა სასახლეში.

ბუშინ მისმა მალა-ყოვლად-უსამღვდლოებსობამ თ. მირსკის და სხვა მთილისის წარჩინებულ პირებს გაუკეთა ვიზიტები.

ჩვენ გვითხრეს, რომ ახალი ეგზარხოსი პირველად სიონის სობოროში სწირავს მომავალ კვირასა.

* * პრევიდამ იწერებინან, რომ იქითაც გაჩენილი საქონლის ჭირი, თითქმის მთელს გუბერნიამი მოედოვო და დიდ ზიანს აძლევს ხალხსა.

მს ნერგი მაინც ისე გამოდგა, აღემატადა ყოველს ვარდზედა. მროვა ბუღბუღლთა ეტრფოდეს მარად, სურდათ ემღერათ მარად მასზედა

მარდს რა ნახავდნენ, აღარ ახსოვდათ, რომ ანწლი იყო მახლობლათ მისა, მასთან ასკილი არ სასიამო, მახუნებული და დიდის ხნისა...

მაისის ვარდმა თვისი მშვენიერება და სუნნელება ესრეთ მოფინა, რომ ანწლის და ასკილს მათი მოძულე მით ფიანდაზა წინ დაუფინა.

ბევრმა ისურვა ვარდის გადარგვა შეუფერებელს ამ ადგილიდან, ანწლი, ასკილი ცდილობდნენ მარად, რომ გზა შეეკრათ ყოვლისა მხრიდან.

მარდზედ ისინი მცირედ ზრუნვიდნენ, მათ სურდათ მხოლოდ მათთან რგულიყო და დაეფარა მათი სიმყარულე, მარდი თუნდ კიდევ დაჩაგრულიყო.



* * * ბაზეთს „მშაკში“ იწერებინან, რომ შახან-ბარჩალოში ამჟამად საშინელი სახადი გაჩენილი და ბევრს ხალხს ხოცავსო. აღმინისტრაციას აქეთკენ ჯერ არავითარი ღონისძიება არ მიუღია ამ მხრით ხალხის დასაშველებლათაო; ამბობენ, ექიმიც კი არა ჰყავთ თურმე.

* * * ხუც-შანიდამ ჩამოსულებმა გვიამბეს, რომ იქაურ რუსის ბანაკში ძალიან ხშირად მოდიან ოსმალოს აფიცრები და სალდათები და ჩვენებურებთან მეგობრულად, მხიარულად ატარებენ დროებასაო. მაგრამ მობუღეთლები კი ახლოს არ ეკარებიან ჩვენს ბანაკსაო, სულ განხე-განხე, მტრულად გვიყურებენო.

* * * ამ საგნისგე შესახებ „თფილისის მოაშტეში“ დაბეჭდილია წიგნი მზურგეთილამ მიღებული:

„ახლა მსმალოვების ჯარს გადაეტყრნენ ქობულეთლები; იმათ არ უნდათ მთავრობისაგან მიღებული თოფები და უბრუნონ ისეც მსმალოს მთავრობას, ტყვეებში იმალებიან და იქილამ ხან-დახან სავაჭროთ მოდიან ხოლმე ჩვენს ბანაკში. მსმალოს სალდათებიც ხშირად დაიარებიან ჩვენთან; იმათ მოაქვთ გასასყილად ლიმონი, თამბაქო, თევზი და სხვ.“

„მსმალოვებსაც, როგორც ეტყობა, ძალიან უხარიათ მშვიდობიანობის ჩამოგდება; იმათი სალდათები და აფიცრები თითქმის მულამ დღე ჩვენთან არიან და ხშირად ჩვენებიც იმათ ლაგირში მიდიან ციხის-ძარხედ და ერთად სმენ, სჭამენ და ტკბილად, მეგობრულათ მუსაიფობენ ამ ომის და სხვა საქმეებზე.“

* * * 9 მარტიდამ დაწყებული ვიდრე 12-მდინ სამი დღის განმავლობაში სპარსელები დღესასწაულობდნენ ნაერუზო-

ბას, ე. ი. შემოდგომის დადგომა. ამას დღეებში თფილისის იმ უბნებში, საცა სპარსელები სახლობენ, ყველა ღუქნები სპარსელებისა დაკეტილი იყო; და ხალხი დიდ მოძრაობაში და მხიარულობაში იყო; დილიდამ საღამომდინ ყველგან ხედავდით, რომ სამ-სამი სპარსელი ერთად ჩამსხდარი ფაეტონში და სადღაც (უფრო ხშირად მუშტაილისაკენ) გაცხარებით მიაქანებდნენ....

„დროების“ კორექსიონდენსია

თელავი, 9 მარტს. ამ თვის პირველიდგან ისეთი თბილი ტაროსი იდგა, რომ მინდორში მოზიზინებულმა ჯეჯილმა და ბალახმა შეიყოლა თვალი მწვანე ხავერდისა.

დღეს კი უცებ ეს სითბო გარდაიცვალა სიცივეთ და საშინელი ქარი ჰქრის. საფიქრებელი არის, რომ ეს სიცივე გავიფუჭებს ზოგიერთს გამოშლიოს ხეხილებს როგორც ვსთქვათ: მარწყვს, ხომანდულებს, ვარდებს და სხვას, რომელნიც უდროვით და ამაყათ გამოიფოთლებიან ხოლმე. მაგრამ ამათ გაუფუჯებას ჩვენ არაფრათ შევიმცნევთ, ოღონდაც „ღვინის დედამა“ ვაზები გვყავდენ შვიდობით.

ნათქვამია: „ზოგი ჭირი მარგებელიაო.“ ეს ქარი სასარგებლოთ გარდაგვექცა: შეაშინა ვაზის კვირტებო, რომლებიც აპირებდენ გამოსვლას და ისეც თავის ბინებზედ მიაქცივა. ამის სამაგიეროთ გუშინდელმა და დღევანდელმა წვიმებმა ძალიან აუჩვილა ძირები და რავდენიმე სიმალღე მოუმატა ქერის და პურის ჯეჯილებს.

ზოგიერთმა შეძლებულმა პირებმა ამ ჩვენს უეზღში არ გაყიდეს პირველიდგან

მომატებული ხორბალიც, რომელიც კრამ მარტში და აპრილში უფრო მეტად უნდათ გაყვიდითო; მაგრამ ფიქრებმა მოატყუეს ეს ბატონები და ვღეს აღარავინ აძლევს იმ ფასსა, რომელსაც აძლევდენ აგვისტოში, სექტემბერში. მართს „სულის მამას“ ორასი კოდი პური ჰქონდა გასაყვიდავი, სამ-სამი მანეთი აძლიეს კოდში წინეთ, მაგრამ ზემონათქვამის იმედით არ მისცა; დღეს კი სინანულში შევიდა ამისთვის რომ ორ-ორ მანეთზედ მეტს აღარავინ აძლევს.

ღვინო ერთობ ძვირია. შბრალო სამუშე ღვინო ჩაფი ოთხ მანეთამდის ფასობს ეხლავე და ამას იქით რაღას უნდა მოველოდეთ?..

აქეთ-იქით სოფლებიდგან ისმის საჩივიარი მამასხლისების აღმორჩევაზედ. ამბობენ, ვითომც თელავის უეზღის უფროსს, თვინიერ საზოგადოებას სურვილისა, დაუნიანავს ისინი სხვა-და-სხვა გავლენილი პირების „რეკომენდაციით“. ამ გვარს დანიშნულებას ისეთი გავლენა მოუხდენია აღმორჩეულებზედ, რომ ისინი თავის თანამდებობის არ შესახებ საქმების განხილვაში შედიან და „იმაღლებენ“ თავსა.

მართის მხრით ისმის სამღურავი იმაზედაც, რომ ამას წინათ დანიშნული სოფლის უფროსები ვითომც თხოულობდნენ თითო სოფლიდგან ორ-ორ კაცს ცხენიანს, რომელნიც ვითომც იყვნენ საქირონი სამსახურის გამო, მაგრამ ვითომც ტყუილიც იყოს და მოთხოვილი კაცები სხვა საქმეს აკეთებენ—არა სამსახურის შესახებს!....

პუკია

დიდხანს ფარვიდა ანწლის სიმყრალეს ვარდი გაშლილი, გამშვენებული, მაგრამ იმასაც ამ სიმყრალემა შერი უცვალა, მოუწყლა გული.

მინამ გაუძლო ანწლის მძიმე სუნს, მისს გვერდით ყოფნა მანც მოითმინა; შემდგომ შესწუხდა, ყური დაუგლო და ყველასაგან ეს მოისმინა:

„საწყალი ვარდი, ყვავილთა მეფა, ანწლოა და ასკილთ შორის ჩარგული! ნუ უკვე ვერ გრძნობს, ანწლის სუნისგან შერი ეცვალა, არის ჩარგული?!“

შემდგომ ამ სმენის თავი დახარა, შევიდა იგი ღრმა ფიქრებშია, სთქვა: „მართალია, ამათთან ყოფნით შერ გავიხარე თავის დღეშია.“

„რა ვჰყო, რა მმართვეს, ვინ არს მშველელი, რომ აქ ძირი-თურთ მე ამიყვანოს და მომაშოროს ანწლსა და ასკილს, სხვა მცენართ შორის გარდამიყვანოს!“

ამ დროს უეცრად შორის ქვეყნიდამ

ბამოჩნდა ერთი უცხო მებაღე; ვარდი რა ნახა, შეკრთა და უთხრა: „დიდი ხანია მსურდა მენახე.“

„მე ვარ მებაღე უცხო ქვეყნისა, სად არს მრავალი ყვავილთა კრება; მაგრამ შენ სძლიე მშვენებით ყვლას და მით ვისურვე მე შენი ხლება.“

„ბუნებისაგან განმვენებულო, მარდო, ძვირფასო საყნოსველათა, მომეცი ნება დაგრგო ჩემს ბაღში ანწლის, ასკილის უკითხველათა!“

„შენ მაგათ შორის არ გშვენის ყოფნა, მიკვირს ამთენს ხანს როგორ გასძელი! მინ დაგრგო აქა, უთესს ალაგას, წყეულიმც იყოს იმისი ხელი!“

ვარდმან მიუკო ნაზის სიტყვებით: „ბმადლობ, რომ ესრედ ზრუნავ ჩემთვისა! სხვა მებაღეებს მე ვერ მივინდი, ავჰყავებულვარ თურმე შენთვისა!“

„შემდეგ ამ შენის კარგის აღუქმების შენ მეყოლები ჩემდა მცველათა.. მზოვ მომიარო და არ გამხადო

„ანწლის, ასკილის საკიცხველათა!“

მებაღემ რაკი ეს მოისმინა, აღტაცებითა გაიხარა მან; ხელ იგლო ვარდი, სურვილისამებრ, თვისის ბალისკენ გააქანა მან!

ანწლმა რა ნახა თვის შორის რგული ვარდი, ძირი-თურთ აღმოღებული, უთხრა ასკილსა: „აწ რა გვიმართებს, ჩვენ ორნივე დავრჩით წყალ-წალბებული!“

„მე ხომ მყრალი ვარ სუნით, თვისებით და მისთვის ვძულვარ ყველასა, შენც მოგაკლდების შემდეგ პატივი და გული გიწყებს მითი ძეგრასა!“

ასკილმანც იცის, მათ არე-მარეს დასვირნობდნენ ვარდისათვისა.. დაღონდა ფრიად, ჩავარდა ფიქრში, მძუნვა შეექმნა ამისათვისა.

მართლაც დაჰკარგეს იმათ პატივი; მინლა გაივლის აწ მათსა მხარეს?! დასრულდა მათი ბალის მშვენება, მრთად ფურცლები ძირს ჩამოყარეს...

რუსის აგებები

რუსის უამბო

ბელგიური გაზეთის „Indép. Belge“-ის უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია ლონდონიდან მიღებული კორრესპონდენცია, რომელშიაც შემდეგი ალაგია:

„თუ ვინცოცაა ინგლისსა და რუსეთს შუა ბრძოლა ატყდა, ინგლისელებს ყველაზე უფრო მომეტებული იმედი თავის განუხსნელერელის და მართლაც გასაკვირველს სიმდიდრისა აქვთ; თქვენ გგხსომებათ ის სიტყვები, რომელიც ამას წინათ წარმოსთქვა ლორდ ბიკონსწილდმა:

„—მრთხელ თუ დავიწყეთ ომიო, სთქვა ინგლისის პირველმა მინისტრმა, დარწმუნებული უნდა იყვეთო, რომ ადვილად აღარ მოგვეშვებით მტერსაო; ინგლისის იმდენი შეძლება აქვს, რომ მუდამ წელს ბრძოლის განახლება არ გაუჭირდება მტერთან და სანამ სრულეებით არ გავალარიბებთ რუსეთს, რომელიც ახლაც გვარიანად შევიწროებულია ფინანსების მხრით, მანამ ხრმაღს არ ჩავაგებთ.“

„მაე სთქვა ლორდ ბიკონსწილდმა და ეს სიტყვები მით უფრო ჩასაფიქრებელია, რომ თვითონ ინგლისის კუნძულს მტერი თავის დღეში ვერას დააკლებს, რადგან იმას ეს მტერი ვერ მიუღდება.“

ამავე გაზეთის სტამბოლელი კორრესპონდენტი იწერება შ მარტს:

„მსმალეთის მმართველობა გაცხარებით და საჩქაროთ ეშალება სარმრად. ამბობენ, რომ რამდენიმე კვირის განმავლობაში 200,000 კაცი ეყოლება იმას სრულიად დამზადებული ბრძოლის ველზე გამოსასვლელათაო.

„მაცმა კი არ იცის—ვისთან საბრძოლველად არის ეს მზადება. ზოგიერთები ამბობენ, რომ იმ საიდუმლო პირობის ძალით, რომელიც რუსეთსა და მსმალეთს შუა არის შეკრული, ეს მზადება ინგლისის წინააღმდეგ ომისათვის არის; სხვები კი ამტკიცებენ, რომ მსმალეთი რუსეთთან ხელ-ახლად ბრძოლის დაწყებისათვის ემზადებაო; როგორც ინგლისი რუსეთს ომს გამოუცხადებს, იმ წამსვე ყველა თავის ჯარებს ინგლისს გარდასცემსო.

რუსეთსა და მსმალეთს შუა შეკრულს მორჩილების პირობებში სხვათა შორის არის ერთი მუხლი, რომელშიაც მოხსენებულია:

„ამ პირობის შეკერის შემდეგ, რუსის ჯარები ექვსი თვის განმავლობაში უნდა გამოვიდნენ არაზრუმიდამ და სხვა ალაგებიდამ, საცა კი დგანან მცირე აზიასში. რუსის ჯარები ტრაპიზონში ჩასხდებიან ხომალდებში და წამოვლენ ზღვით ბევკასიისა და პირომისაკენ.“

რუსულ გაზეთს „ახალ დროებაში“

რომელსაც ბევრი რამ არ დაეჯერება, იწერებიან ბერლინიდან:

„ინგლისმა წინადადება მისცა აესტრო-მენგრიის მმართველობას, რომ პირობა შეკრან და ერთად იმოქმედონ რუსეთის წინააღმდეგ; მაგრამ აესტრია არ დათანხმდა. მრათ ანდრასი ცდილობს, რომ კონგრესსი შესდგეს, მაგრამ აქ ამის იმედი აღარა აქვთ.“

ზაზეთ „Голосъ“-ში დაბეჭდილია ხუცუბნიდამ უფ. ბ. წერეთლისაგან გაგზავნილი შემდეგი კორრესპონდენცია:

„24 იანვარს მოვიდა ბრძანება, რომ უნდა გავგზავნათ ჩვენებს პარლამენტიორი ღერვიშ-ფაშასთან პირათ მოსალაპარაკებლათ იმის თაობაზე, რომ მიატოვონ სინის-ხირის სიმაგრეები და ბათუმი.

„მოსვლისათანავე მოზულეთის ატრიაღში, მე ნათქვამი მქონდა, რომ ნება მაქვს, თუ საჭიროთ დავინახავ, ყველა გვარ შემთხვევას დავსწრებოდი. ამიტომ არავის დაუკითხავათ გაეყვი მყც ღერვიშ-ფაშასთან გაგზავნილ პარლამენტიორებს.

„ჩვენ გადავდით ხუცუბნის სიმაღლეები და შეუდექით პანტრიშის ნაპირის სწორე მინდერებს. ჩვენ უკან ოც ნაბიჯზე მოგვდედა ყაზახის ერთი სოტენა. სამზღვრამდინ მისვლამდინ მე ფიქრშიც არ მომსვლია მომეზარა ჩემი მდგომარეობა ამ მიმავალ პირებში; აქ მიუბრუნდი შტაბის უფროსს და უთხარი:

— თქვენ ურუოთ გამაცნობთ მე ღერვიშ-ფაშასა?

— რა მოხელეთ გაგაცნოთ? მკითხა მან.

— როგორც რუსული გაზეთის კორრესპონდენტი.

— მე ვგ მოწერილობაში არა მაქვს ჩაწერილი!

მა პასუხი და სახის გამომეტყველობა შტაბის უფროსისა იმ გარი იყო, რომ პირ-და-პირ მაგრძნობინებდა, რომ, თუ მცა რუსული გაზეთის წამომადგენელი ხარ, მაგრამ ამ გვარ მიძიმე საქმეში შეცამეტე გოჯის ალაგი გიჭირავსო.

„ძალა-უნებურათ უნდა ჩამოვჩენილიყავე პანტრიშის მარჯვენა ნაპირზე და დამეცადნა სიცივეში ღამის 10 საათამდინ მათი დაბრუნება. შორიდანვე ეტყობოდა, რომ ისინი კარგა მიელო ღერვიშ-ფაშას: ჩვენები წინ მოდიოდნენ, უკან ფარნებით მათ მისდევდა მიმბაში (ბატალიონის უფროსი), რომელიც გადმოვიდა ჩვენ სამზღვარზე და პატივისცემით გამოგვაცილა ჩვენ ბანაკამდინ. მერე მოგვცა თავისი ფანარი და ისევ უკან დაბრუნდა.

— თქვენ რატომ დარჩით? მკითხა გაკვირვებით სოტენის უფროსმა.

— მე მომეტებულით დავრჩი, უპასუხე მე შერცხვენილმა.

— რატომ? თქვენ შეგეძლოთ ჩვენთან ყოფილიყავით. იქ ბევრკარგ რასმეს ნახავდით. როგორი პატივის-მცემელი კაცი ყოფილა ღერვიშ-ფაშა! რა მშვენიერათ ცხოვრობს! ბევრ სხვა კარგ

მოწყობილობასთან წარმოუფერებლად რემიც კი ჰქონია. ჰარუბისკოტის, შუა იყო ერთი ექვსი წლის ყაზახი, ჩვენ დაგვიანა თუ არა, მაგრა ჩაეკრა გულში თავის დედას, ასე გონია და უნდოდა დამალულიყო დედის-გულშიო და შიშით წამოიყვრა „რუი!“ ღერვიშ-ფაშამ ჩინებულათ მიგვილო, ყველას ჩამოგვართვა ხელი, შეგვიპატიჟა თავის კარავში, ყავა მოგვართვა. შემდეგ ჩვენ წავიდით მისი ადიუტანტების კარავებში და ღერვიშ-ფაშა და ჩვენი უფროსი მარტო დარჩნენ მოსალაპარაკებლათ. ადიუტანტებმა მოგვართვეს ჩვენცა და ჩვენ ყაზახებსაც სხვა-და-სხვა მსმალეთის ნამცხვარი და იაღლო. მე შემხვდა იქ ერთი ოსი, რომელსაც ვიცნობდი შლადიკავში. იმას მიმბაშის თანამდებობა ჰქონდა და გულზე მეჯადიეს ჯვარი ეკიდა.

— რისთვის ხარ შენ აქ? უთხარი მე.

— ისე, მე ამ ომიანობის დაწყებამდინ გამძოვესახლე მსმალეთში.

— შესა რომ ომი გათავდა, აღარ გამძოხვალ ჩვენკენ?

— რატომ არა, მიპასუხა მან.

— მაგ მეჯადიეს რას უზამ?

— რა უზამს, მივმალავ სადმე...

„იქ იყო ერთი გამხდარ-გამხდარი ადიუტანტი, რომელიც ჩინებულათ ლაპარაკობდა რუსულს და თითქმის ყველა ჩვენ ღენე-ლებს იცნობდა. იმას მოველო მთელი ძაეკაზია, ყოფილიყო თუილისში, შლადიკავკავში, ბაქოში და ღელესტანში. ქვედაზე უფრო გამაკვირვა სინის-ძარის გარშემო ხმელეთის მხრივ მიწის თხრილებმა, სიმაგრეებმა და ლოქმენტებმა. ხმელეთისკენ დაღმართია და მგლის სოროგებსავით ნათხარი. ბუჯი ბანაკში სულ მოსსეა, სუჟთა ისე კი არა, როგორცა ბანაკში, სადაც ჩვენს ვინჩებით ტალახში. როცა გადავიდოდით მდ. პანტრიშის მეორე მხარეზე, შეგვაყენეს ერთ ფიცრას შენობასთან და აცნობეს ღერვიშ-ფაშას, რომ ჩვენ 10—12 კაცამდინ მივდიოდით. იმისაგან მოგვივიდა ტელეგრამით თანხმობა და ჩვენც შეუდექით გზას. ბამოთხოვების დროს ღერვიშ-ფაშამ მოგვცა ყველა აფიტრებს ორ-ორი შაქრის-პური და თქვა, რომ ესენი მიიღო საკუთრივ ჩვენთვის თავის ცოლისაგან.

„მკორე დღეს მე შეიეტყე დაწვრილებით ღერვიშ-ფაშასა და ჩვენი შტაბის უფროსს შუა მოლაპარაკების შედეგი. როცა მას გამოუცხადეს ბათუმის და სინის-ძარის დათმობა, ფერი ეცვალაო. იმან უპასუხა თურმე, რომ ამაზე ჯერ არაფერი ამბავი არა აქვს მიღებული თავის მმართველობისგან და როგორც მიიღებს, დაწვრილებით ამბავს სტამბოლიდამ, თითონვე შეატყობინებს მათ.

— როგორ, ჩემო ძმავე, ვკითხე მე ერთ ყაზახს, რომელიც იმყოფებოდა იმ სოტენაში, რომელიც იყო ღერვიშ-ფაშასთან, როგორ ცხოვრობენ მსმალეები?

— ძარგა, ბატონო. ტყუილათ ამბობდნენ თურმე, რომ მათ საქმელ-სასმე-

ლი აკლიათო; ყველაფერი ბლომით აქვთ ისეთი წითელ ლოყებიანი არიან! ჩვენ კი არა გვეგანან ჩაყვითლებულგებს.

— ბაჭაშვეს რამე? — ბაჭაშვეს, ბატონო, ყავა დაგვალეგინეს. როგორ გამაგრებულნი არიან! ჩვენ ჩვენის ღონით ვერა დროს ვერ ავიღებთ იმ ადგილებს...

ვენის გაზეთს „Tagblatt“-ში იწერებინან: „შველამ იცის აქ, რომ ავსტრო-ვენგრიის პირველი მინისტრი გრაფ ანდრას-ხი მოთავეა იმ პარტიისა, რომელსაც ჰსურს, რომ ავსტრია დაუკავშირდეს ინგლისს და მერე ამ ორმა სახელმწიფომ რუსეთს გამოუცხადონ ომი. მაგრამ საქმე იმაშია, რომ თვითონ ავსტრიის იმპერატორი ფრანც იოსიფი ამ ჰაზრის წინააღმდეგია, იმას არა ჰსურს, რომ ის კავშირი, რომელიც რუსეთსა, გერმანიასა და ავსტრიას შუა არის შეკრული, დაირღვას; ამის გამო შესაძლებელია, რომ გრაფ ანდრასხი პირველ მინისტრობილამ დაითხოვოს.“

პეტერბურელი კორრესპონდენტი „ქელნის გაზეთისა“ ამბობს, რომ რუსეთი თანახმა არისო, რომ კონგრესს წარუდგინოს ყველა მუხლები ოსმალეთთან შეკრული მორიგების პირობისაო. მაგრამ ამასთანავე თხოულობსო, რომ კონგრესსმა ხელი არ ახლოს ამ პირობის ორ მუხლს: ომის ხარჯის გარდახდევინებაზე და ბათუმის, შარსის, არტაანის და ბაიაზეთის თავის მახრებით რუსეთისაგან შექენაზედაო.

გაზეთს „Temps“-ში იწერებინან პეტერბურელია: „რუსეთის მთავრობა დარწმუნებულია რომ ინგლისს გადაწყსეტილი აქვს რუსეთის ომის გამოცხადება და ახლავე არ გვიცხადებს ომს იმიტომ, რომ ჯერ კიდევ საკმაოდ მომზადებული არ არისო.“

აქვე გაზეთში დაბეჭდილი ბერლინი-დამ მიღებული დეპეშა გვაცნობებს, რომ თ. ბისმარკი სრულიად ეთანხმება ინგლისსა და ავსტრიას იმ ჰაზრზედაო, რომ ოსმალეთთან შეკრული პირობები რუსეთმა უიჭველად უნდა წარუდგინოს კონგრესსაო, რადგან 1856 ტრაქტატის ძალით, ყოველივე ცვლილება ოსმალეთში მხოლოდ იმ სახელმწიფოების თანხმობით შეიძლება მოხდეს რომელთაც ამ ტრაქტატს მაშინ ხელი მოაწერესო.

ფრანკთუელი გაზეთი „Le Temps“ ამბობს:

„ინგლისსა და რუსეთს შუა ისეთი უკმაყოფილება არის ამ ქამად ჩამოვარდნილი რომ ძნელად წარმოსადგენია ამათი განხეთქილება მშვიდობიანათ გათავდეს, თუნდაც რუსეთმა წარუდგინოს კონგრესს მთელი თავის მორიგების პილობა, როგორც ინგლისი თხოულობს. ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, რომ კონგრესსი არ შესდგება, რადგან ამ პირობის წარდგენას გარდა, ინგლისი სხვათა შორის, იმასაც თხოულობს, რომ რუსეთმა სტამბოლიდამ უკან დასწიოს თავის ჯარები, და ამასვე ჯერ-ჯერობით, სანამ მკვიდრი მშვიდობიანობა არ დამყარებულა, რუსეთი თავის დღეში არ დათანხმდება.“

განცხადებანი

ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ მარტის 17-ს, იმის თანდასწრებით, დანიშნულია **მაპრობა** (მხოლოდ ერთელ) ნავთლულში მდებარე ქალაქის მიწის (დაჩის) იჯარით მიცემასად მომავლის თვის აპრილის 1 რიცხვიდამ. ეს მამული საბალახე ადგილია და შეიცავს 194 დესიატინასა და 100 ოთხ-კუთხ საყენს.

თვლის ქალაქის გამგეობისაგან თვლისის ქალაქის გამგეობის მიერ უცხადებს ხარშოვნი ქაქუჩები (პასტიალი დორები) პატრონებს, რომ საშუალი აქციბ ს შემოტანა ამ ტრეტიმ რებიდამ 1878 წლისთვის დანიშნულის წლის პირველი ნახევრისათვის — 1 ივლისის ამა 1878 წლისა.

თხსენები

ბოსტანისა და ყვავილებისა, ახლოდ მიღებული სამზღვარ გარეთდამ **იხამი** დება ქავკასიის სამეურნეო საზოგადოების კამისიონერთან **ლარშისთან**, ბოლოდინის პროსპექტზე, სახლის № 11. (10-6)

აბრაშუმის ვიის თხსლი (ვერცხი) იტალიის მოღგმისა, სალი იყიდება **ქავკასიის სამეურნეო საზოგადოების** სადგომში (ალექსანდროვის ბაღში, უფ. მირსკის პირ-და-პირ). ფასი თითო მისხლისა **ეჰსნი** რაშირითს კაცს 10-15 მისხალზე მეტი არ მიეციდება.

გამოვიდა და იხამი „**სოლი ვიტირო, თუ ფული?**“ ქომეღია ად. თუთავეისა **იხამი**: ქალაქში—ყველა წიგნის მალაზიებში და ალექს ჯიმშეროვთან, თელავს—იოსებ ქუმანაშვილთან, ქარელს—ღვთა მეროიაშვილთან, ხაშურისა და ბეჟათუბნის ზუჭეტში, სურამს—ზაქარია პრუწოვთან, ქუთაისს—იაკობ მჰანეზოვთან და სვ. სერვაძესთან ფოთში—მლისბარ ბაბლოვთან, ცხინვალს—თ. ივ. თავატიაშვილთან, საქაზეთს—ნიკ. ლიასამიძესთან, მეჯვრისთხეს—მასწ. მათე ნათამიძესთან, ბორჯომში—სტ. ზომოცვთან და თვითონ ავტორთან.

რა. ზუა.	დილა.	საღამ.	II კ.		III კ.		ტელგრაფი			მ. კაბ	გაზანდა		მ. კაბ	თვლისის სამკურნალო	
			საღამ.	მ. კაბ	საღამ.	მ. კაბ	მ. კაბ	მ. კაბ	მ. კაბ		მ. კაბ				
თვლისი	9 21	5 18	—	—	—	—	ტელგრაფი			1	თვლისი, 15 მარტი.	1	თვლისის სამკურნალო		
მცხეთა	10 11	6 27	68	38	მ. კაბ			1	შქ. თვ. ბანჯისა, ფთ.	1 55	ქვეილი წითელი . . .		1 30	ქვეილი წითელი . . .	
ბორი	11 58	9 43	2 40	1 33	მ. კაბ			2	ქერი ფუთი . . .	1 35	ბაზა მრევნისა, ფუთი .		6 20	ბაზა მრევნისა, ფუთი .	
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	მ. კაბ			2	— აშერისა, ფუთი . . .	6 8	— აშერისა, ფუთი . . .		6 8	— აშერისა, ფუთი . . .	
სურამი	1 44	—	4 42	2 46	მ. კაბ			3	ბაპენტილი ბაზა ფუთი.	10	ბაპენტილი ბაზა ფუთი.		10	ბაპენტილი ბაზა ფუთი.	
შვირილა	5 49	—	5 81	3 23	მ. კაბ			3 50	მატყელი თუშური ფთ.	8 20	მატყელი თუშური ფთ.		8 20	მატყელი თუშური ფთ.	
რიონი	6 47	—	6 75	3 75	მ. კაბ			3 75	— თარაქმისა ფთ. . .	4	— თარაქმისა ფთ. . .		4	— თარაქმისა ფთ. . .	
სამტრედიო	7 41	—	7 73	4 29	მ. კაბ			3 75	აბრეშუმი ნუხური სტ.	2	აბრეშუმი ნუხური სტ.		2	აბრეშუმი ნუხური სტ.	
ახ.სენაკი	—	—	8 57	4 76	მ. კაბ			3 75	ქონის ხანთელი ფუთი.	6 40	ქონის ხანთელი ფუთი.		6 40	ქონის ხანთელი ფუთი.	
ფოთი	9 40	—	9 75	5 42	მ. კაბ			3 75	სტეარინის ხანთელი, ფ.	13 60	სტეარინის ხანთელი, ფ.		13 60	სტეარინის ხანთელი, ფ.	
ფოთი	9 13	—	—	—	მ. კაბ			3 75	ხორცი ძროხისა, ლიტ.	1 8	ხორცი ძროხისა, ლიტ.		1 8	ხორცი ძროხისა, ლიტ.	
ახ.სენაკი	—	—	1 18	- 66	მ. კაბ			3 75	— ცხვრისა, ლიტრა . . .	1 8	— ცხვრისა, ლიტრა . . .		1 8	— ცხვრისა, ლიტრა . . .	
სამტრედიო	11 16	—	2 6	1 14	მ. კაბ			3 75	სპირტი, გრადუსი . . .	— 13	სპირტი, გრადუსი . . .		— 13	სპირტი, გრადუსი . . .	
რიონი	12 13	—	3 4	1 69	მ. კაბ			3 75	შაქარი, ბროც. ფუთი .	8 20	შაქარი, ბროც. ფუთი .		8 20	შაქარი, ბროც. ფუთი .	
შვირილა	1 18	ლაშქ	3 98	2 21	მ. კაბ			3 75	— ფენილი ფუთი . . .	6 60	— ფენილი ფუთი . . .		6 60	— ფენილი ფუთი . . .	
სურამი	5 12	11 10	5 33	2 96	მ. კაბ			3 75	ქავა გრგვალი, გირვ. .	— 70	ქავა გრგვალი, გირვ. .		— 70	ქავა გრგვალი, გირვ. .	
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24	მ. კაბ			3 75	უთი ქუნჯუთისა ფუთ.	13	უთი ქუნჯუთისა ფუთ.		13	უთი ქუნჯუთისა ფუთ.	
ბორი	7 5	4 8	1 36	4 9	მ. კაბ			3 75	თამბაქო, საშუალო ფუთი	7 95	თამბაქო, საშუალო ფუთი		7 95	თამბაქო, საშუალო ფუთი	
მცხეთა	8 50	6 59	9 85	4	მ. კაბ			3 75							
თვლისი	9 31	7 56	9 75	5 42	მ. კაბ			3 75							